# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 319. ხუთშაბათი, 26 მაისი 1905 წ. გაზეთის № 2829.

# პატარა ბურჟუა

სცენები. თხზულება ე. პრესანგისა.

(რუსულიდან)

**მოქმედნი პირნი:**

**კრანოლდ**—წვრილი მეფაბრიკე.
**ზანდოვ**—კრანოლდის მთავარი ბუხჰალტერი.
**სოფო**—კრანოლდის ქალი.
**ეგნერ**—მუშა ფაბრიკისა.

I

ქვემო სართული, კრანოლდის სამუშაო ოთახი.

**კრანოლდ.** (საწერ მაგიდასთან ზის, მბრუნავ სკამში; შემოდის ეგნერ).

**ეგნერ.** ბ-ნო კრანოლდ! მე მინდა მოგელაპარაკოთ.

**კრანოლდ.** სთქვი, რაც გინდა, ოღონდ ჩქარა! (ჩააშტერდება ეგნერს თვალებში) ფაბრიკაში ხომ ისეთი არაფერი მომხდარა?

**ეგნერ** არა, მე ჩემი საკუთარი საქმე მაქვს.

**კრანოლდ.** (რაღაც უსიამოვნების მოლოდინში). თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, ეგნერ!

**ეგნერ.** მე მხოლოდ ორი სიტყვა მინდა გითხრათ; საქმე ჯამაგირის მომატებას შეეხება.

**კრანოლდ** (სწრაფად მოტრიალდება მისკენ). მომატებას? ესე-იგი როგორ მომატებას?

**ეგნერ.** ქორწილი მინდა გადვიხადო.

**კრანოლდ.** ქორწილი? მერე, დალახვროს ეშმაკმა, რა გაკლიათ ეგნერ?

**ეგნერ** (მხრების აწევით). ოდესმე ხომ უნდა...

**კრანოლდ.** უნდა? როგორ თუ უნდა? ვინ გატანთ ძალას? იმედი მაქვს... (სასტიკად შეხედავს; ეგნერი დაცინვით აქნევს თავს); მაგრამ კარგი; აბა მითხარით ერთი, რასა ჰგავს ეს? მე სრულებით არ მომწონს ჩემის მოსამსახურეების ამგვარი საქციელი, იცოდეთ ეს კარგად! ახლა მომატებას თხოულობთ, მერმე ერთხელ კიდევ მომატება, რამდენი ბავშვი გეყოლებათ, იმდენი მომატება! ეშმაკს თქვენი თავი, მე ვალდებული ხომ არა ვარ თქვენი ბარტყები ვარჩინო! მოხდება თუ არა რამე, მაშინათვე ჩემკენ გამორბიან! (ადგება და ეგნერს მხარზე ხელს დაადებს). მე თქვენ, ეგნერ, ყოველთვის გონიერ კაცად მიმაჩნდით—აბა, მითხარით ერთი, რად აიტეხედ ეს რაღაც სისულელე?



კონტრ-ადმირალი ფონ-ფელკერზამი,
მოკლულია.

**ეგნერ** (იცინის). როგორ თუ სისულელე?

**კრანოლდ** (მოუთმენლად). ღმერთო ჩემო! ყოველი ქორწინება სისულელისა და სიყალბის მეტი ხომ არაფერია.

**ეგნერ** (სიცილით). ჰო, რასაკვირველია, ბ-ნო კრანოლდ, კაცზეა დამოკიდებული; მაგალითად: თქვენ ხომ...

**კრანოლდ** (უფრო დვარძლიანად). ჰოო, მეც... და აი სწორედ იმიტომაა, რომ ათასი დავიდარაბა და ვაი-ვაგლახი მახვევია თავს. გულით გირჩევთ, ნუ შეირთავთ ქალს!

**ეგნერ.** არა, მეყო ამდენს ხანს უცოლობა და თავ-შესაფრებში გდება ღამის სათევად. ეგრეც რომ არ იყვეს, ჯვარის წერის დღე უკვე გამოქვეყნებულია. ვცდი, მეც ვიცხოვრო სხვანაირად.

**კრანოლდ** (დამორჩილებით სკამზე ეშვება). თუ ასეა, მაშ სცადეთ; რა მენაღვლება! ღმერთმა დამიფაროს, რომ ხელი შეგიშალოთ!

**ეგნერ.** მაშ ჯამაგირი მომემატება?

**კრანოლდ** (შემოტრიალდება მისკენ სწრაფად). ვინ გითხრათ?

**ეგნერ.** უამისობა შეუძლებელია.

**კრანოლდ** (ცივად). მე საზოგადოთ არ ვკისრულობ ჩემის მოსამსახურეებისა და მუშების კერძო საქმეებისთვის ზრუნვას. ყველამ თავისი საქმე იცის.

**ეგნერ.** კარგი, მაგრამ, ასეა თუ ისე, ცოლი ხომ შევირთე და ახლანდელი ჩემი ჯამაგირით იოლად წასვლა შეუძლებელია (პაუზა)... მაშ ერთი-ღა დამრჩენია...

**კრანოლდ** (ფიცხლავ გააწყვეტინებს). რამდენი გაქვთ ჯამაგირი?

**ეგნერ.** 24 მარკა*) კვირაში.

**კრანოლდ** (სკამიდან წამოიჭრება). მერე ეს ჯამაგირი არ მეყოფაო, ამბობთ თქვენ? ბრიყვო, ეს ხომ წელიწადში 1200 მარკას აჭარბებს, გესმით? (ჯდება) ბედოვლათებს მე არა ვშველი.

**ეგნერ** (დამშვიდებით იცინის). კარგი ბედოვლათი კი ვარ, ბ-ნო კრანოლდ!

**კრანოლდ.** მე სხვა სახელი ვერ მომინახავს თქვენთვის. ოც-და-ოთ-ხი მარკა! და კიდევ მომატება? სმენამ ხომ არ მიღალატა?

**ეგნერ.** ცოლსაც ხომ საჭმელი უნდა.



კონტრ-ადმირალი ენკვისტი,
მივიდა მანილაში დაზიანებულ გემ „ავრორა“-თი.

**კრანოლდ.** ეგ ჩემი საქმე არ გახლავთ. თქვენს ცოლს განა რაიმე დამოკიდებულება აქვს ჩემთან? გარდა ამისა, მასაც

*) მარკა 50 კაპეიკია.

# ბალტიის ესკადრა



ჯავშნიანი გემი ,,ორიოლი'' (ტყვედ წაყვანილი).



ჯავშნიანი გემი ,,კნ. სუვოროვი'' (ჩაძირული).



კრეისერი ,,ჟემჩუგი'' (დაზიანებული, იარაღ აყრილი).



ჯავშნიანი გემი .,ბოროდინო'' (ჩაძირული).



ჯავშნიანი გემი ,,ოსლიაბა'' (ჩაძირული).



ჯავშნიანი გემი ,,ნოვარინი'' (ჩაძირული).



კრეისერი ,,ადმირალი ნახიმოვი'' (დაღუპული).



კრეისერი ,,იზუმრუდი'' (დაღუპულია).



ჯავშნიანი გემი „ალექსანდრე მე-III'' (დაიღუპა).



ჯავშნიანი გემი ,,სისოი ველიკი'' (დაიღუპა).



კრეისერი ,,დიმიტრი დონსკოი ' (დაიღუპა).





დაღუპული და დაზიანებული ნაღმიანი გემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეყოფა—და როგორ ეყოფა კიდევ—შენი ჯამაგირი. ეს ფული სამი-ოთხი ბავშვის გასაზრდელადაც გეყოფათ. ხომ იცნობ კლემანსს, ჩემს ლაქიას? 18 მარკა ეძლევა თვეში და ექვსი ბალღი კი ჰყავს სარჩენი. გესმით, ექვსი! გაგიგონიათ მერმე როდისმე მისი ჩივილი?

**ებნერ.** ჩივილი და მერე როგორი!

**კრანოლდ** (განცვიფრებით). ჰოო?.. (გრძელი პაუზა) მაგრამ... ყოველ შემთხვევაში ხომ სცხოვრობს მაინც!

**ეგნერ.** ცხოვრება ცხოვრებას ჰქვია ბ—ნო კრანოლდ! ერთს შევიხედავდით მისს სადგომში. ერთს პაწაწკინა ოთახსა და სამზარეულოში რვა სულია მოთავსებული.

**კრანოლდ** (ირონიულად). მე შენ გეტყვი, თქვენ კი არ იქნებოდით მადლობელი მაგისთანა სადგომისთვის, აი.

**ეგნერ.** დიაღაც, რომ არა. მე ვიქირავე კიდეც ორი ოთახი; ოთახები თუმცა პატარეებია, სამზარეულოც არაა დიდი...

**კრანოლდ**. თქვენის ფიქრით დიდს ოთახებსა და სასახლეებში მცხოვრებნი კი ბედნიერები არიან? (ადგება, ხელებს ეგნერს დაადებს მხრებზე და მამობრივ-იდილიურ კილოთი ეუბნება): არ იცით განა შესანიშნავი სიტყვები ჩვენის დიდებულის შილლერისა: „თავისუფალ ცხოვრებისთვის თვით ქოხმახიც კი სასახლეა“. დიახ, დიახ! თქვენ გეცინებათ, მაგრამ ამ სიტყვებში კი ღრმა აზრია გამოხატული. ჰო ჭეშმარიტად! ესეც რომ არ იყვეს, სიყვარულს რა საქმე აქვს სადგომის სიდიდესა ან მისს მოწყობილებასთან; დამიჯერეთ, რომ ეს ასეა, ამაზე მეტი რა გამომიცდია ცხოვრებაში! რამდენად ხარჯი იზრდება ოჯახში, იმდენად უფრო მეტი ზრუნვა და დავიდარაბა სჭირდება კაცს. ადამიანი მით უფრო ჭკვიანია, რამდენით ნაკლებს ხარჯავს ხოლმე. ბრძენიო, ნათქვამია, უკანასკნელ ხარისხამდე იმცირებს თავის მოთხოვნილებებსო. მოიგონეთ თუნდაც დიოგენი. კაცი ფილოსოფოსი იყო და ბოჭკაში კი სცხოვრობდა! გესმით, ბოჭკაში! თქვენ ცხოვრება არც კი დაგიწყიათ და ორი ოთახი კი იქირავეთ! ასე მდიდრულად რომ მოეწყოთ, რა თქმა უნდა, მეტი ხარჯი დაგჭირდებათ და მეტი ჯამაგირიც უნდა იშოვნოთ სახლის პატრონის ჯიბეების გასასქელებლად, რასაკვირველია. აბა ერთი მითხარით, ღვთის გულისთვის, რომელი ჭკუას მყოფელი იზამს მაგას? ახლა ერთი შედეგიც ნახე და, როგორი შედეგი მოჰყვება მაგას? ხარჯი დღითი-დღე მოგემატებათ, შემოსავალი კი უწინდებურად დარჩება, არც შეიძლება მოემატოს, თუ დამქირავებელი თავის ოჯახის დანგრევას არ მოინდომებს; დაბოლოს მშვიდობით დამშვიდებულო ცხოვრებავ, ოჯახურო ბედნიერებავ, ყველაფერო... არა, ჩემო კარგო, არ შემიძლიან დაგეხმაროთ ამ საქმეში! დაიწყეთ უბრალო ცხოვრებიდან, ხომ გაგიგონიათ ანდაზა: „საბნის დაგვარად ფეხები გასჭიმეო“-და დასტკბებით ცხოვრების ბედნიერებით: დრო მოვა, თქვენი საქმეები კარგად წავა, რატომაც არ უნდა წავიდეს კარგად? ყოჩაღი კაცი ხართ და ადვილად გაიკაფავთ ცხოვრების გზას. მაგრამ, თანდათანობა, ცოტ-ცოტაობა, გესმით? ასე მოულოდნელათ ნუ წარუდგენთ ხოლმე მოთხოვნებს თქვენს დამქირავებელთ: ყველაფერი უნდა იზრდებოდეს და ნვითარდებოდეს ორგანიულად, როგორც ბუნებაში ხდება ხოლმე; (მტკიცედ) ერთის სიტყვით, ერთ მარკის მეტს ვერ მოგიმატებთ! (ჩამოჯდება ილაჯ გაწყვეტილი).

**ეგნერ.** ყოვლად შეუძლებელია სამს მარკაზე ნაკლების მიმატება.

**კრანოლდ** (მუშტს დაჰკრავს მაგიდას). მაშ!..

**ეგნერ.** ყველაფერი დაწვრილებითაა ნაანგარიშევი.

**კრანოლდ.** აბა, ვიანგარიშოთ ერთხელ კიდევ.

**ეგნერ.** მადლობას მოგახსენებთ. ანგარიშის დროს მე სხვა და სხვა მოულოდნელი ხარჯებიც მივიღე სახეში: ან ავად გახდება ვინმე, ან რამე მოხდება ისეთი...

**კრანოლდ** (ირონიულად). ჰოო, რასაკვირველია! ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი ცხოვრებაში; ან ბებია მოგიკვდება, ან ბიძა გესტუმრება! ოო, მოულოდნელი ხარჯები რამდენიც გინდა, იმდენი გამოჩნდება; თუ ასე ფლანგეთ ფულები, ხელად ტყავიც არ შეგრჩებათ, მგონი, ტანზე (ელოდება ეგნერისაგან დასტურს; შემდეგ დგება). ასე, ეგნერ, მხოლოდ ერთს მარკას!

**ეგნერ.** არა; ან სამი მარკა, ან არა და გამისწორეთ ანგარიში.

**კრანოლდ.** ეგნერ! მოიგონეთ თქვენი მომავალი მეუღლე! ნუ თუ ორიოდ ჰუჭყიან ვერცხლის გულისთვის მისს ბედნიერებას ბეწვის ხიდზე დასდებთ.

**ეგნერ.** მოწმობას ხომ კარგს მომცემთ და მეც უკეთეს ადგილს ვიშოვნი... (წასვლას აპირებს).

**კრანოლდ.** რა თქმა უნდა, ეგნერ, თქვენ კიდევ მოიფიქრებთ ამ საქმეზე!

**ეგნერ.** მე კი არა თქვენ, თქვენ გიჯობთ მოიფიქროთ.

**კრანოლდ.** ფუ, მხეცი.

II

ზემო სართული, სასტუმრო ოთახი კრანოლდის სადგომში.

**კრანოლდ.** რისთვის მისულხართ, ზანდოვ, ასე სადღესასწაულოთ გამოწყობილი? თითქოს ჯვარის დასაწერათ გამზადებულიყოთ! ოო, მესმის, ალბად დაინიშნებოდით და ჩემთან მოხვედით შესატყობინებლათ, განა?

**ზანდოვ** დიახ, ე. ი.... უკაცრავად, ათასჯერ უკაცრავად, თუ მე, თუ...

**კრანოლდ.** ჰო, მერე?

**ზანდოვ.** თქვენ, უეჭველია, გეცოდინებათ რომ მე... რომ მე...

**კრანოლდ.** სრულებით არაფერი არ ვიცი.

**ზანდოვ.** (გულის ძგერით მიაჩერდება). ბ-ნო კრანოლდ! მე მინდა გთხოვოთ თქვენის ქალის ხელი!

**კრანოლდ.** (წამოხტება სკამიდან). მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ ალბად!... (კონს მოვა, მწყრალათ გადახედავს ზანდოვს და ბოლთის ცემას დაიწყებს ოთახში) სოფოს ხელი! (უცბად დაუდგება ზანდოვს წინ). როგორ მიხველით თქვენ ამ... ამ უტიპიურ აზრამდე! სიზმარში ნახეთ რამე, თუ მკითხავმა მოგაჯადოვათ?

**ზანდოვ** (წყენით). ბ-ნო კრანოლდ! მე აგერ ექვსი წელიწადია ბუხჰალტრათ ვარ თქვენთან და ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ თქვენ სრულის ნდობით მიცქერით; გიმნაზიის შვიდი კლასი გამითავებია და ცოტა რამ მაინც მესმის... მამა ჩემი იყო...

**კრანოლდ** (გაჯავრებული გააწყვეტინებს). რა საჭიროა ჩემთვის ყველა ამაების ლაპარაკი? მე ხომ ეჭვი არა მაქვს მაგაში? მხოლოდ მინდოდა გამეგო, როგორ გაკადნიერდით და...

**ზანდოვ.** ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი...

**კრანოლდ.** ჩვენ? ე. ი. თქვენ გიყვართ იგი?

**ზანდოვ** (შეკრთება). დიახ, სოფოს კი მე ვუყვარვარ...

**კრანოლდ.** სოფოს! სოფოსაც რომ უძახის! მოწყალეო ხელმწიფევ, ვინ მოგცათ ნება ჩემს ქალს სოფო დაუძახოთ?

**ზანდოვ** (უფრო შემკრთალი). ჩვენ უკვე. შენობით ველაპარაკებით ერთმანეთს.

**კრანოლდ** (გაშტერებული დადგება). რაო? (მიირბენს კარებთან) სოფო, სოფო! (მძიმე პაუზის შემდეგ შემოირბენს სოფო).

**სოფო.** აქა ვარ მამა; გამარჯობათ ბ-ნო ზანდოვ!

**ზანდოვ** (სრულის საყვედურით). სოფო!

**სოფო** (შემკრთალი თავს ძირს დახრის).

**კრანოლდ** (გამომცდელის თვალებით უცქერს ორივეს). მმ... მაშ მართალია?..

**სოფო** (მივარდება მამას). მამილო, ისე გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი!..

**კრანოლდ** (თავიდან მოიშორებს ქალს). დაიცა! (თავისთვის) ჩინებული ამბავია... ჯვრის წერასაც აპირებთ რაღა?

**ზანდოვ** ⎰ რაც მე შემეხება...
**სოფო** ⎱ თუნდაც ახლავე!..

**კრანოლდ** (დაკაკვლით). არ-ფე-რიც არა იქ-ნე-ბა!..
(შეეშინდებათ)

**ზანდოვ** ბატონო კრანოლდ! თქვენ ორს ადამიანს აუბედურებთ!

**სოფო** დიახ, საშინლად აუბედურებთ!

**კრანოლდ**. ტა-ტა-ტა... რომანიდან ამოგლეჯილი ფრაზები!

**ზანდოვ**, მე, რასაკვირველია, კარგად მესმის, რომ მე და სოფოს სხვა და სხვა ადგილი გვიჭირავს საზოგადოებაში...

**კრანოლდ.** ნუ მოჰყოლიხართ სისულელეს! მე ყურადღებას არ ვაქცევ საზოგადოებრივ უსწორ-მასწორობას; ჩემთვის სულ ერთია!

**სოფო**. მაშ რაღა გინდათ?

**კრანოლდ.** მომითმინე! (დაჯდება და ქალ-ვაჟსაც იწვევს დასაჯდომად) მე მგონია, ბ-ნო ზანდოვ, თქვენ მემკვიდრეობას მიიღებდით, ხომ ეგრეა?

**ზანდოვ** ა... არა, სამწუხაროდ არ მიმიღია.

**კრანოლდ.** მაშ დიდ ძალ ფულს მოიგებდით?

**ზანდოვ.** არც ეგაა, სამწუხაროდ, მაგრამ მომგებიანი ბილეთი კი მაქვს და...

**კრანოლდ.** და იმედი გაქვთ, რომ ბევრ ფულს მოიგებთ; მესმის მაგრამ ვერ მოიგებთ; თქვენ არა ხართ ამისთვის საკმაოდ სულელი.

**ზანდოვ.** (გაკვირვებული უცქერის).

**კრანოლდ.** თქვენ, ალბად, საქმე ისე გაქვთ წარმოდგენილი, რომ მე ვიკისრებ იმ ხარჯის დაფარვას, რომელიც თქვენს მომავალს ოჯახს დასჭირდება, ეგრე, არა?

**ზანდოვ** (წამოხტება). ბ-ნო კრანოლდ!

**კრანოლდ** (თავის ქნევით). კარგი, არა მაშ? (დაცინვით უცქერის ორივეს). მაგრამ ერთი მითხარით, შვილებო, რითი აპირებთ ცხოვრებას?

**ზანდოვ.** ჩემის ჯამაგირით.

**სოფო.** ეს ხომ ჯამაგირშია!

**კრანოლდ** (ირონიით). ოო, რასაკვირველია, თქვენ ჯამაგირიანი კაცი ხართ, ბ-ნო ზანდოვ, მაგრამ, ჩემის ფიქრით, სულ უბრალო ცხოვრებისთვის წელიწადში უკანასკნელი ექვსი ათასი მარკა მაინც ხომ იქნება საჭირო.

**ზანდოვ** (წყენით). კარგად იცით, ბ-ნო კრანოლდ, რომ თქვენგან მე მხოლოდ 2700 მარკა მეძლევა, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ...

**კრანოლდ** (გააწყვეტინებს). სსს... ეს მოურავის საქმეა: გთხოვთ ქვევით კანტორაში ილაპარაკოთ ამაზე. აქ კი საქმე მხოლოდ სოფოს მამასთან გაქვთ და გთხოვთ ნუ დაივიწყებთ! ამას გეუბნებით მე, როგორც სოფოს მამა. ჰაერის კოშკში ცხოვრება შეუძლებელია. მაგარი სახლები უნდა იშოვნოთ, ქვის კედლებიანი და იქ დაბინავდეთ. გაქვთ კია ასეთი ბინა?

**სოფო.** მამა! ჩვენ ვფიქრობდით... ჯერ 3 ან 4 ოთახი რომ ვიქირაოთ ქალაქის განაპირას, შეიძლება...

**ზანდოვ.** რა თქმა უნდა, ამისთანა სადგომი ჩვენთვის სრულიად საკმაო იქნებოდა.

**კრანოლდ.** ოო? ეგრე გგონიათ? ნუ თუ ფიქრობთ, ბ-ნო, რომ მე ნებას მივცემ ვისმე ჩემი ქალი გალიაში ჩაამწყვდიოს? იქნება ჩარდახში გსურთ იცხოვროთ, მანსარდზე, (ირონიით) ვარსკვლავებთან ახლოს?

**სოფო.** შენ, მამა, დაგვცინი (დაქუცით), მაგრამ ხომ მახსოვს ერთის გამოჩენილ მწერლის სიტყვები: „თავისუფალ ცხოვრებისთვის თვით ქოხმახიც სასახლეა“-ო.

**ზანდოვ** (თვალები გაუბრწყინდება). ბედნიერ შეყვარებულთათვის!

**კრანოლდ.** ეს საშინელებაა! ნუ თუ ფიქრობთ, რომ ამგვარ სენტიმენტალიზმით პირობას გამომტყუოთ? ეს ხომ სიგიჟეა!.. ეს...

**ზანდოვ.** თქვენ არა სცდებით: ეს მართლაც რომ სიგიჟეა, მეტადრე ჩვენს შესახებ; სოფო და მე მზადა ვართ თვით აუტანელი გაჭირვებაც კი ავიტანოთ ერთად.

**კრანოლდ.** სიტყვები, სიტყვები და მეტი არაფერი! აუტანელ გაჭირვებას აიტანთ კი არა, სიმშილით დაიხოცებით 2700 მარკის პატრონნი, სიმშილით მოკვდებით-მეთქი, გეუბნებით მე თქვენ!

**ზანდოვ.** ბრძენები ამბობენ, მოთხოვნილებათა უქონლობა ღირსებაა ადამიანისთვისო.

**კრანოლდ.** სისულელეს კი როშავთ თუ უკაცრავად არ ვიქნებით!

**სოფო.** ყველაფერი გამოვიანგარიშეთ, მამი, ყველაფერი უკანასკნელ გროშამდე; წელიწადში 35 მარკა კიდევ უნდა გადაგვრჩეს, რასაც შავის დღისთვის გადავდებთ.

**კრანოლდ.** ეხ! გამოიანგარიშეთ ერთი და მაშინ დაინახავთ! თმა ყალყზე დაგიდგებათ, როცა გაიგებთ, რამდენი ხარჯი სჭირიან ოჯახსა.

**ზანდოვ.** რა თქმა უნდა, თუ იგი მდიდრულადაა მოწყობილი.

**კრანოლდ.** არა, სრულებითაც არა, ოჯახი უბრალო, მშვიდი, რიგზე მოწყობილი; ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ რომ ათასი მოულოდნელი ხარჯი მოელის კაცს: ავად გახდება ვინმე, ან...

**სოფო.** ო, ჩვენ ორივენი ჯანსაღები ვართ! ხომ ასეა ერიხ? ამასთან სიყვარულით შეუღლებულ ცოლქმართათვის ყველაფერი ადვილი ასატანია.

**ზანდოვ.** როცა შეგიძლიან გაუზიარო ხოლმე ვისმე შენი მწუხარება...

**კრანოლდ.** კარქით ერთი, ღვთის გულისათვის, ნუ თუ ფიქრობთ, რომ თქვენის უაზრო ფრაზებით ნებას დამიყოლიებთ?

**ზანდოვ.** მე იმის იმედიც მაქვს, რომ ჩემი საქმე გაუმჯობესდება სამსახურში, თავის დროზე, რა თქმა უნდა...

**კრანოლდ.** თავის დროზე! როცა სოფოს თმები გაუთეთრდება! მაშინ კი გეყოფათ მარტოკა თქვენ თქვენი ჯამაგირი. (ადგება, ადგება ზანდოვიც). არა, შვილებო, გონებიდან განიშორეთ ეს ყმაწვილური სისულელე; შენ, სოფო, შეგიძლიან გაემზადო შვეიცარიაში სამოგზაუროდ: ერთ-ორ თვეს იქ დარჩები შენს ძალუასთან. თქვენ კი, ზანდოვ, ელოდეთ ბევრ ფულის მოგებას, თუ ის არ გირჩევნიათ, რომ თქვენი შეცდომა გულ-მოდგინე და თავ-გამოდებულ შრომით გაასწოროთ...

**ზანდოვ** (მტკიცედ). გთხოვთ ამაზე დაბლა, კანტორაში, ილაპარაკოთ.—დამშვიდდი, სოფო, მე შენ არ გიღალატებ! ხვალვე მოველაპარაკები მმართველს ჯამაგირის მომატებაზე; მას არ შეუძლიან არ დამეთანხმოს: მამაშენის მშვენიერ არგუმენტებს ის ვერსად გაექცევა (გამოეთხოვება და გადის).

**კრანოლდ** (დვარძლიანად). ფუ, მხეცი!

**ა. ლომთათიძე.**




ქალაქის საქმეები ცხარე ცრემლით სტირიან, მაგრამ... ყურს ვინ უგდებს...

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ 23 мая 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.